საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №8
2015 წლის 17 თებერვალი

ქ. საჩხერე

,,საჩხერის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებად დაყოფის, მათი საზღვრების დადგენისა და საჩხერის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების ბეჭდების ნიმუშების დამტკიცების შესახებ“ საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 ოქტომბრის №42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–20 მუხლის მე–4 პუნქტის შესაბამისად საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება ,,საჩხერის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებად დაყოფის, მათი საზღვრების დადგენისა და საჩხერის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების ბეჭდების ნიმუშების დამტკიცების შესახებ“ საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 ოქტომბრის №42 დადგენილებაში (სსმ ვებგვერდი 29/10/2014წ. სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.130.016119) და დადგენილების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 1.

1. საჩხერის მუნიციპალიტეტი დაიყოს 13 ადმინისტრაციულ ერთეულად, დანართი №1–ის შესაბამისად.

2. საჩხერის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი საჩხერე.“

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საჩხერის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **თამაზ ნადირაძე**